

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

ანა ლალიძე

ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების და
განვითარების პრინციპები

არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილია დისერტაციის

ავტორეზიუმე

თბილისი, 0175, საქართველო

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

ხელმძღვანელი : **თენგიზ მახარაშვილი** -----

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი

რეცენზენტები: **მარიკა ფოჩხუა** -----

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
არქიტექტურის დოქტორი.

ნანი მეფარიშვილი -----

თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო
სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის 2 ივლისს 14:00 საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და
დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,

კორპუსი N1 , აუდიტორია N 403
მისამართი: 0175 თბილისი , კოსტავას ქ. N77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

დავით ბოსტანაშვილი -----

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის
ფაკულტეტის პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი

შესავალი

საზოგადოლო ცნობილია გამწვანებული გარემოს როლი და მნიშვნელობა ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ევროპის და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები საყოველთაო ურბანიზმის ფონზე ფართო ფრონტით იბრძვიან ეკოლოგიური ბალანსის შესანარჩუნებლად - მუშავდება კონცეფციები, განხორციელებულია მრავალი სასიკეთო პროექტი, მაგრამ ისიც ცნობილია, საქართველოში, კერძოდ კი თბილისში უმოწყალოდ ნადგურდება ბალ-პარკები.

თბილისში პარკების, ეროვნული ბაღებისა და გამწვანების საერთო ფართობი ძალზე მცირეა განაშენიანებული რაიონებისა და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით. ნორმატიული აქტების მიხედვით, რომლებიც საბჭოთა დროს არის მიღებული და ამჟამადაც მოქმედებს, ქალაქში, სადაც 0.5 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობს, სავალდებულო გამწვანებული ადგილი ერთ მოსახლეზე 15 მ²-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. თბილისის შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი 13.0მ²-ს (1983წ.) არასოდეს აღემატებოდა. სამწუხაროდ, ამ საკითხზე განახლებული ინფორმაცია არ არსებობს. თუმცა, ქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, 2001 წელს ეს ციფრი ბევრად ნაკლები იყო და ერთ მოსახლეზე 5.6 მ² შეადგენდა.

მსგავსი კრიტიკული შემცირება, სავარაუდოდ, 1990-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისის შედეგია. ამ დროს არ კონტროლდებოდა ხეების მასიური ჩეხვა, რაც გათბობისა და საკვების მომზადების მიზნით ხდებოდა. მოგვიანებით, 90-იანი წლების ბოლოს და 2000 წლის დასაწყისში, მწვანე საფარი კიდევ ერთხელ მოექცა მწვავე ზეწოლის ქვეშ, მაშინ, როდესაც მოუწესრიგებელი და ქაოტური მშენებლობების ბუმის შედეგად პარკები და ეროვნული ბაღები სამშენებლო ზონებად გადაიქცა. ბოლო წლებში საცხოვრებელი ტერიტორიის გაფართოება

თბილისში ტყით დაფარული მიწების გასუფთავებისა და გამწვანებელი ადგილების გამოყენების ხარჯზე მოხდა. არა და თბილისს ჯერ კიდევ გააჩნია გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული პოტენციალი, რომლის გამოვლენა, ანალიზი და სინთეზი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ლანდშაფტურ დაგეგმარებაში, ხოლო ამ პოტენციალის ჯეროვანი განსაზღვრა მისთვის სოცილურ-ეკონომიკური ფუნქციების მისადაგების და მათი რაციონალური გამოყენების არსებითი წინაპირობაა.

თემის აქტუალობა. თბილისის გარემოს არასახარბიელო პირობები ქალაქის სულ უფრო და უფრო მეტ მაცხოვრებელს აიძულებს ქალაქგარეთ გადასვლას. ეს ტენდენცია, ალბათ, გაგრძელდება და გაძლიერდება მომდევნო ათწლეულების განმავლობაში გლობალური დათბობის პირობებში. აღნიშნული ტენდენცია ქალაქის გაფართოების სტიმულს იძლევა ახლანდელი საზღვრების მიღმა და ზრდის გარემოზე ზეწოლას თბილისის შემოგარენში, რომელსაც ამჟამად თბილისის მოსახლეობისათვის გამაჯანსაღებელი ფუნქცია აკისრია.

დღითი-დღე მცირდება თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული თუ მოგვიანებით გაშენებული საზოგადოებრივი პარკების და ბაღების ტერიტორიები, უმონწალოდ იჩეხება ხეები და ნადგურდება მცენარეულობა.

მოსახლეობის ზრდა და ურბანიზაციის თანამედროვე პროცესები ქალაქის მწვანე საფართან დაკავშირებულ პრობლემებს კიდევ უფრო გაამწვავებს. გამომდინარე აქედან, თუ არ იქნა დანყებული ამ პროცესის საწინააღმდეგო, პრევენციული ქმედებები შესაძლებელია, შედეგად ეკოლოგიურ კატასტროფამდე მივიდეთ.

აუცილებელია შემუშავდეს ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა და განვითარების ერთიანი კონცეფცია რომელიც

დაფუძნებული იქნება, როგორც ტრადიციულ, ასევე უცხოეთის პოზიტიურ გამოცდილებაზე და განვითარების თანამედროვე პრინციპებზე.

გრძელვადიანი მდგრადი განვითარების ქალაქგეგმარებითი რეკომენდაციების შემუშავებით შესაძლებელი იქნება გამწვანებისა და ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების ტერიტორიული ფუნქციური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის გაუმჯობესებით და მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებით თბილისის ბალ-პარკების და გამწვანებული ტერიტორიების განადგურების პროცესის შეჩერება.

კვლევის მიზანია: განვითარების პოსტსაბჭოთა ეტაპზე საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური, ურბანული დაგეგმარების რეფორმებისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა და განვითარების პრინციპების გამოვლენა.

მეცნიერული კვლევის ამოცანები:

ქ. თბილისის გეოგრაფიულ და ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესწავლა-გაანალიზება და გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების რეტროსპექტული ანალიზი და არსებული თავისებურებების გამოვლენა.

- არსებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის ანალიზი და ურბანულ-რეკრეაციული განვითარების თანამედროვე პრობლემების გამოვლენა.

- ქ. თბილისის გამწვანებისა და ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების ტერიტორიული პოტენციალის გამოვლენა ქალაქის ცალკეული ფუნქციური ზონების მიხედვით და განვითარების პერსპექტიული ზონების დადგენა.

- ე. თბილისი ერთიან ურბანული და ლანდშაფტურ - რეკრეაციული სისტემის ფორმირების პრინციპების დადგენა: საკანონმდებლო-ნორმატიული პროექტების შეთანხმება-დამტკიცების, არსებული და ახალი ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონების, ერთიანი განვითარების გენერალური სქემის შემუშავების მიმართულებით.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლებია:

საქართველოს კონსტიტუცია (დამატებებით და ცვლილებებით). 1995 წ. თბილისი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 1997 წ. თბილისი); საქართველოს რიგი კანონები, მათ შორის: „სივრცის მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“. 2005 წ.თბილისი; „გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“. 2005 წ. თბილისი; „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. 1996 წ. თბილისი; „N 2116 – II-ს კანონი მწვანე საფარის და ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ,“. 1999 წ. თბილისი; „N 594 – I - ს ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ . 2000 წ. თბილისი და სხვა.

ნაშრომი ეყრდნობა ქართულ, უცხოურ ლიტერატურულ წყაროებს, საპროექტო ისტორიულ, სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ და სხვა მასალებს.

კვლევის ძირითად ობიექტს და საგანს წარმოადგენს ე. თბილისის და მისი შემოგარენის ანტროპოგენური და ურბანული ლანდშაფტის სარეკრეაციო სივრცეების და მათი განვითარების ფაქტორები, თავისებურებები და ტენდენციები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ გამოვლენილია თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა

და განვითარების ძირითადი პრინციპები, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-ეკონომიკური, არსებული პოტენციალის, კულტუროლოგიური და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტთა სისტემის ეტაპობრივად მშენებლობის და განვითარების წინაპირობების შემუშავებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობაა მისი კონცეფტუალური ხედვის, დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენება ქ. თბილისის რეკრეაციული სივრცეების, ურბანული და არქიტექტურულ გეგმარებითი გადაწყვეტისას, საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის სრულყოფისას და დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გადაწყვეტისას, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქის სარეკრეაციო ტერიტორიების დაცვას, გამწვანებული ტერიტორიების ზრდას, ეკოლოგიური მდგომარეობის, მოქალაქეთა დასვენებისა და ჯანმრთელობის პირობების გაუმჯობესებას და მდგრადი განვითარების პირობების ჩამოყალიბებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის - „თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირებისა და განვითარების პრინციპები“ - ძირითადი დებულებები და შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო შრომების და პროექტების სახით:

1. ა. ლალიძე თ. მახარაშვილი, ქ. თბილისის ბალ-პარკების ექსპანსიის პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტუალი", საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია. თბილისი. 2014, N26, გვ. 231-235.

2. ა. ლალიძე თ. მახარაშვილი, ე. თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების რეტროსპექტული ანალიზი, სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2015, N1 (36), გვ.146-150.

3. ა. ლალიძე, თბილისის გამწვანებისა და რეკრეაციული ლანდშაფტების დაცვა განვითარების საკანონმდებლო ბაზა. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2015, N4(39), გვ.34-38.

4. ა. ლალიძე, თბილისის ბალ-პარკების ექსპანსია. ჟურნალი „სტილი“ (არქიტექტურა, ინტერიერი, დიზაინი), თბილისი. 2015, #2 (53), გვ. 30-35

სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციის მასალებში:

სტუ-ს 82-ე სამეცნიერო კონფერენციის II პრემიის ლაურეატი. თემა: „ ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა და განვითარების პრინციპები“. 2014 წ. თბილისი.

კოლოქვიუმები და სემინარები:

- თბილისის ბალ-პარკების ექსპანსიის პრობლემები საბაზრო-ეკონომიკის პირობებში (ხელმძღვანელი თ. მახარაშვილი), კოლოქვიუმი I, 2015, თბილისი
- აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ურბანულ-სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი (ხელმძღვანელი თ. მახარაშვილი), სემინარი I, 2015, თბილისი
- საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირების უცხოური გამოცდილება (ხელმძღვანელი თ. მახარაშვილი), კოლოქვიუმი II, 2015, თბილისი;

- ე. თბილისის გამწვანებისა და რეკრეაციული ლანდშაფტების დაცვა-განვითარების საკანონმდებლო ბაზა (ხელმძღვანელი თ. მახარაშვილი), სემინარი II, 2015, თბილისი;

- თბილისის გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული განვითარების ტერიტორიული ფუნქციური პოტენციალი (ხელმძღვანელი თ. მახარაშვილი), კოლოქვიუმი III, 2016, თბილისი .

სადისერტაციო თემის იდენტური დაპროექტებული და განხორციელებული ობიექტები:

- საქალაქო პარკი გურამიშვილის ქუჩასა და მდ. ვერეს შორის მდებარე რთულ რელიეფიან ტერიტორიაზე (პროექტი), 2014, თბილისი;

- საქალაქო ბაღი ავლაბარში, წურწუმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (პროექტი), 2015, თბილისი;

- „საერთაშორისო არტ სოფელი უწერა 2015„. მცირე საოჯახო სასტუმროების რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირება (ფასადების რესტავრაცია, მიმდებარე ეზოს ლანდშაფტის კეთილმოწყობა. პროექტის კურატორი და ორგანიზატორი. სოფ. უწერა, ონის რაიონი.

სხვა სამეცნიერო კონფერენციის მასალებში:

1. საერთაშორისო არქიტექტურული გამოფენა -ფორუმი - „ქალები აშენებენ! იქ, სადაც კავკასია ევროპას ხვდება“, თემა „არქიტექტურული სივრცის რეაბილიტაცია- რუსუდან მეფისაშვილი“, 2015 წ.თბილისი, MomaTbilisi.

საერთაშორისო არტ სოფელი უწერა 2015 -ს ფარგლებში სემინარის და პროექტის კურატორი და ორგანიზატორი. თემა „ სოფელ უწერის საკურორტო-ტურისტული პოტენციალი“. სოფ. უწერა, ონის რაიონი.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი არის 167 გვერდიანი, მასში არის 51 სურათი, 7 სქემა, 4 ნახაზი და 1 ცხრილი, თან ერთვის ბიბლიოგრაფიული სია 60 წყაროს ჩვენებით, მათგან უცხოურია 31 წყარო.

სტრუქტურულად ნაშრომი შედგება: რეზიუმეს, შესავლის, სამი თავის, დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის და ილუსტრაციების, ცხრილების, სქემების ჩამონათვალისგან.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის მეთოდები, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

დისერტაციის პირველ თავში განხილულია ქ. თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირების ისტორიულ-რეტროსპექტიული ანალიზი. **დისერტაციის პირველი თავის პირველ ქვეთავში** შესწავლილი იქნა: ქ. თბილისის გეოგრაფიულ და ბუნებრივ-კლიმატური პირობები. დადგინდა, რომ მისი ტერიტორიის კომპლექსური მახასიათებლები ძალზე ხელსაყრელია ლანდშაფტური რეკრეაციული ზონების განვითარებისთვის. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ თბილისის ანტროპოგენულ ლანდშაფტებს განსაზღვრავდნენ: მთაგორიანი რელიეფი, მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები, ტყის მასივები და გეოგრაფიული მდებარეობისთვის დამახასიათებელი მცენარეული საფარი.

დისერტაციის პირველი თავის მეორე და მესამე ქვეთავებში შესწავლილი იქნა თბილისის გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირება XIX და XX საუკუნეების დასაწყისში; თბილისის გამწვანებისა და საპარკო რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირება საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში. დადგინდა, რომ ლანდშაფტური და ბუნებრივ-

კლიმატური პირობების თავისებურებების მაქსიმალური გათვალისწინება და გამოყენება ძველი ქალაქის დაგეგმარებასა და განაშენიანებაში წარმოადგენდა ხუროთმოძღვრების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს.

ქ. თბილისის გამწვანებისა და საპარკო რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირება საბჭოთა პერიოდში. მიუხედავად გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიმართულებით გარკვეული მიღწევებისა, ბევრი მძიმე შეცდომები იქნა დაშვებული თბილისის ქალაქგეგმარებითი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების გადანყვეტისას. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მდინარე მტკვრის, როგორც მთავარი ქალაქმაფორმირებელი ფაქტორის უგულველყოფა და ქალაქის პერსპექტიული განვითარებისათვის, თბილისის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული სასოფლო ტერიტორიების გამოყენება საცხოვრებელი განაშენიანებისათვის.

პოსტსაბჭოთა პერიოდში (1991-2015 წწ.) თბილისის, როგორც ურბანული, ასევე არქიტექტურულ-ლანდშაფტურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიურმა მდგომარეობამ. 90-იანი წლებიდან დაიწყო ურბანულ-ლანდშაფტური დეგრადაციის პროცესები. დღემდე ფაქტიურად არ ჩამოყალიბებულა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები. კანონმდებლობის არასრულყოფილება და ქაოტური, უკანონო მშენებლობები ხელს უწყობს თბილისის ბალების განადგურებას.

დისერტაციის მეორე თავში განხილულია ქ. თბილისის გამწვანებისა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირების არსებული თავისებურებები. **დისერტაციის მეორე თავის პირველ ქვეთავში** მოცემულია საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა და გარემოს დაცვის მდგომარეობის

ძირითადი ასპექტები. უცხოური, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში დღემდე ჯერ კიდევ მოქმედებს საბჭოური პერიოდის მოძველებული საკანონმდებლო ნორმები, ხოლო ახალი აქტები არასრულყოფილი და არაეფექტურია.

დისერტაციის მეორე თავის მეორე ქვეთავში განხილულია თბილისის ურბანული და ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების პრობლემები. დადგინდა, რომ თბილისის არც ერთ პარკს არ გააჩნია დამტკიცებული საზღვრები (წითელი ხაზები). არ არის ჩამოყალიბებული თბილისის პარკების ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურა. მათ, 5-15 წლის პერიოდში გასხვისების, უკანონო მშენებლობის, ხე-მცენარეების განადგურების შემდეგ, ტერიტორიების 50/70 % დაკარგეს. დისერტაციაში მოცემულია ქალაქის რეკრეაციული სივრცეების ხელყოფის არაერთი კონკრეტული მაგალითი. **დისერტაციის მეორე თავის მესამე ქვეთავში** შესწავლილი იქნა საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირების უცხოური გამოცდილება. კვლევის შედეგად გამოვლინდა ევროპული ქალაქების საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა და განვითარების პრინციპები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თბილისის გამწვანების სისტემის შესაქმნელად.

დისერტაციის მესამე თავში მოცემულია ქ. თბილისის გამწვანების საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების არქიტექტურულ-სივრცული განვითარების პრინციპები. **დისერტაციის მესამე თავის პირველ ქვეთავში** განხილულია გამწვანებისა და ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების ტერიტორიული ფუნქციური პოტენციალი. შესწავლილ იქნა თბილისის გამწვანებისა და ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების ტერიტორიულ-

ფუნქციური პოტენციალი, დადგინდა პერსპექტიული განვითარების ზონები, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია: მტკვარის სანაპიროზე არსებული ტერიტორიები, თბილისის მცირე მდინარეებისა და ხევების მიმდებარე ტერიტორიები, თბილისის ცენტრში გამავალი სარკინიგზო ხაზის გადატანის შემდეგ გამონთავისუფლებული ასობით ჰექტარის ურბანულ-რეკრეაციული სივრცეები.

დისერტაციის მესამე თავის მეორე ქვეთავში დადგენილი იქნა ერთიან ურბანული და ლანდშაფტურ-რეკრეაციული სისტემების შექმნის წინაპირობები; რეკრეაციული ტერიტორიების მწვანე ნარგავთა სისტემა და ლანდშაფტურ დიზაინერული გადაწყვეტა. განხილულია თბილისის მწვანე და სარეკრეაციო ტერიტორიის სავარაუდო განვითარება, რაც გულისხმობს ძირითადი ჯგუფისა და ქვეჯგუფების მწვანე და სარეკრეაციო სივრცეების კატეგორიზაციას: მწვანე სარტყელი - მწვანე/ეკოლოგიური ღერეფანი - ურბანული გამწვანება. ნაშრომში აღნიშნული ურბანული განვითარების შესაძლებლობა მოცემულია ტერიტორიათა განაშენიანების რეგულირების გეგმების საფუძველზე.

დისერტაციის მესამე თავის მესამე ქვეთავში განხილულია მწვანე ნარგავები ჯგუფები, მათი, მიზნობრივი დანიშნულების, არქიტექტურულ გეგმარებით გადაწყვეტის და ტერიტორიის მოცულობის მიხედვით, ლანდშაფტური და გამწვანების ტერიტორიალური სისტემები, მწვანე ნარგავების ფუნქციები და გამწვანება გაყვავილნარების მეთოდები და ფორმები. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული ბალების დაგეგმარების თბილისის მაგალითები. დისერტაციის შემაჯამებელ დასკვნებში მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები, კერძოდ, თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირებისა და განვითარების პრინციპები.

შემაჯამებელი დასკვნები

დისერტაციაში, კვლევების და ანალიზის შედეგები ჩამოყალიბდა დასკვნების სახით, კერძოდ:

1. ქ. თბილისის გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური პირობების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მისი ტერიტორიის კომპლექსური მახასიათებლები ძალზე ხელსაყრელია ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონების განვითარებისთვის. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ თბილისის ანტროპოგენულ ლანდშაფტებს განსაზღვრავდნენ: მთავორიანი რელიეფი, მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები, ტყის მასივები და გეოგრაფიული მდებარეობისთვის დამახასიათებელი მცენარეული საფარი.

2. ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების შესწავლა-ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ XIX და XX საუკუნეების დასაწყისის პერიოდში თბილისის ბაღები მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ საქალაქო სივრცეში და განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრებაში, გართობასა და დასვენებაში.

3. საბჭოთა პერიოდში აღინიშნა გარკვეული მიღწევები თბილისის გამწვანებასა და საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირებაში. ამასთან, დაშვებულ იქნა მძიმე შეცდომები თბილისის ქალაქ გეგმარებით და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების გადაწყვეტისას, კერძოდ: - მდინარე მტკვრის, როგორც მთავარი ქალაქმათორმირებელი ფაქტორის უგულველყოფა;

- მდინარე მტკვრის სანაპიროების სატრანსპორტო კომუნიკაციებად გადაქცევა და მისი შემოგარენის ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების უკიდურესად შემცირება; თბილისის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული

გამწვანებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების საცხოვრებელი მასივების განაშენიანებისათვის გამოყენება. აღნიშნულმა ურბანულმა შეცდომებმა გამოუსწორებელი ზარალი მიაყენეს თბილისის ლანდშაფტურ-რეკრეაციულ განვითარებას და ეკოლოგიას.

4. უცხოური, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში დღემდე ჯერ კიდევ მოქმედებს საბჭოური პერიოდის მოძველებული საკანონმდებლო ნორმები, ხოლო ახალი აქტები არასრულყოფილი და არაეფექტურია. ბევრი მათგანი, გადამუშავებას და განახლებას საჭიროებენ საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა და განვითარების პრინციპების გათვალისწინების კუთხით.

5. გაანალიზებულ იქნა, პოსტსაბჭოთა პერიოდში თბილისის არსებული მსხვილი ბალ-პარკებისა და რეკრეაციული სივრცეების (დიდი დილომის ტყე-პარკი, ვაკის პარკი, მზიური, იპოდრომის მიმდებარე და სხვა ტერიტორიული სქემები. დადგენილი იქნა, რომ 5-15 წლის პერიოდში აღნიშნულმა ბალ-პარკებმა, გასხვისების, უკანონო მშენებლობის, ხე მცენარეების განადგურების შედეგად, დაკარგეს 50/70 % ტერიტორიები. გარდა ამისა დადგინდა, რომ თბილისის არც ერთ პარკს არ გააჩნია დამტკიცებული საზღვრები-წითელი ხაზები, არ არსებობს მათი ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურა და ნორმატიული აქტები, რომელიც განსაზღვრავს მათი მოვლა პატრონობის წესს. გამოვლენილი და დაფიქსირებულია დეველოპერების მიერ ქალაქის რეკრეაციული სივრცეების ხელყოფის არაერთი კონკრეტული ფაქტები, რომლებიც დღესაც გრძელდება, რის შედეგადაც ქალაქური ურბანული განვითარების ხარჯზე, მნიშვნელოვნად მცირდება გამწვანებული რეკრეაციული ტერიტორიები.

6. თბილისის გამწვანებისა და ლანდშაფტურ-რეკრეაციული განვითარების

ტერიტორიულ-ფუნქციური პოტენციალის შედეგად, დადგინდა პერსპექტიული განვითარების ზონები, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია: მტკვარის სანაპიროზე არსებული ტერიტორიები, თბილისის მცირე მდინარეებისა და ხევების მიმდებარე ტერიტორიები, თბილისის ცენტრში გამავალი სარკინიგზო ხაზის გადატანის შემდეგ გამონთავისუფლებული ასობით ჰექტარის ურბანულ-რეკრეაციული სივრცეები. გარდა ამისა დადგინდა, რომ ლანდშაფტურ-რეკრეაციული პოტენციალი შესაძლებელია გაიზარდოს ვაკეში, ვერაზე, აღმაშენებლის გამზირზე და ა.შ. შიდაკვარტლური სივრცეების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციით, თბილისის ზღვის ლისისა და გლდანის ტბების მიმდებარე ტერიტორიების გამწვანებით, არსებული დეგრადირებული საქალაქო ბაღების განახლებით, გაუქმებული ნაგავსაყრელების რეკულტივაციის შემდეგ რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენებით და ა.შ.

7. საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირების უცხოური გამოცდილების კვლევის შედეგად გამოვლინდა ევროპული ქალაქების საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტის ფორმირებისა და განვითარების პრინციპები. რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თბილისის გამწვანების სისტემის შესაქმნელად.

8. დადგინდა ერთიანი ურბანული და ლანდშაფტურ-რეკრეაციული სისტემის ფორმირების პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს:

- საკანონმდებლო ნორმატიული მიმართულებით, რეკრეაციულ ტერიტორიებზე, ბაღ-პარკებში, სკვერებში და ა.შ. ყოველგვარი კაპიტალური მშენებლობის კანონმდებლობით აკრძალვას, და რეკრეაციული ზონებისათვის საქალაქო ნაკრძალების სტატუსის მინიჭებას. შენობათა პროექტების დამტკიცებას, მხოლოდ მათ მიმდებარე ტერიტორიების არქიტექტურულ - ლანდშაფტური და გამწვანება კეთილმონაცობის პროექტთან ერთად. თბილისის ურბანულ სივრცეში

და მის საგარეუბნო ზონაში ახალი სარეკრეაციო, გამწვანებისათვის გამიზნული ტერიტორიების გამოვლენას და მათ ჩართვას ერთიან ლანდშაფტურ რეკრეაციულ სისტემაში.

- თბილისის ერთიანი ურბანული და ლანდშაფტურ რეკრეაციული სისტემის შექმნის პრინციპების რეალიზება ქალაქის ახალი გენერალური გეგმის პროექტში.

9. ჩამოყალიბდა თბილისის მწვანე და სარეკრეაციო ტერიტორიის განვითარების მიმართულებები რაც გულისხმობს ძირითადი მწვანე და სარეკრეაციო სივრცეების კლასიფიკაციას: მწვანე სარტყელი, - მწვანე/ეკოლოგიური დერეფანი, - ურბანული გამწვანება. ლოკალური აღნიშნული ურბანული ლანდშაფტური განვითარება უნდა განხორციელდეს ტერიტორიათა განაშენიანების რეგულირების გეგმების საფუძველზე, შემუშავებული ზონალური დაგეგმარებისა და რეკრეაციული ტევადობების პარამეტრების გათვალისწინებით, თანამედროვე მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით.

ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით დამუშავებულ იქნა თბილისში ახალი პარკის და ბალის განახლება-გათვართობა ესკიზური პროექტები. კერძოდ, საქალაქო პარკი გურამიშვილის ქუჩასა და მდ. ვერეს შორის მდებარე რთულრელიეფიან ტერიტორიაზე და საქალაქო ბაღი ავლაბარში, წურწუმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (იხილეთ დისერტაცია)

Formation and development principles of Tbilisi's park-recreative landscapes

Resume

In the following work-paper ,Tbilisi's geographical and environmental-climatic conditions' analysis established that its territory's complex features are very advantageous for developing the landscape recreational areas. It is known that Tbilisi's anthropogenic landscapes defined: mountainous relief, the river Kura (Mtkvari) and its tributaries, forest massives and vegetation covers characterising for the geographical location.

Tbilisi's planting-greenery and park-recreational landscape formation has been studied in 19th century and at the beginning of 20th ,during the soviet and post-soviet period.

It was established that maximum prevision of the landscape and natural-climatic conditions and using them in the old city's planning and developing, would be one of the main principles for the architectural activity.

Tbilisi's planting-greenery and park-recreational landscape formation during the soviet period - Despite some achievements in planting-greenery and organization of public services and amenities, many serious mistakes were made in Tbilisi's urban planning and landscape-recreational issues. First of all, here we have to mention about the river Kura(Mtkvari) , ignoring it as the main city formation factor . Also using the existing rural territories located in the west and east of Tbilisi, for the city's long-range development and residential settlements.

During the post soviet period (1991-2015 yy) Tbilisi's urban and architectural-landscape developments were influenced by the political and social-economic situation

raised in the country. Legislation incompleteness of the urban-landscape degradation has begun since 90th and chaotic, illegal constructions contribute the destruction of Tbilisi's recreational park areas.

As a result of studying and analyzing the legislation norms of the foreign, soviet and post-soviet periods, it has been established that soviet period's valid legislative norms still exist in Georgia, while the new acts are incomplete and ineffective.

Urban and landscape- recreational development problems have been researched and analyzed. It has established that none of the parks in Tbilisi hasn't any approved borders (red lines). Tbilisi's parks' administrative management structure is not formed. For alienation during 5-15-years period, for illegal buildings, after the destruction of the trees and plants, parks' and gardens' 50/70 percent has lost.

Foreign experiences of the park-recreational landscape formation have been studied. As a result of the investigation was disclosed the park-recreational landscape formation and development principles of the European cities, which could be used for creating Tbilisi's greenery-planting system.

Tbilisi's greenery and landscape-recreational development territorial-functional potencial has been studied. Perspective development zones have been established.

The principles of the united urban and landscape-recreational formation have been established, which includes : legislative prohibitions of all capital constructions in the recreational territories, gardens, parks, squares etc. by the legal normatives and reserving urban status for recreational areas; approvement of the building projects, together with their surrounding areas' architectural-landscape and greenery improvement project; It also includes the detection of the new recreational territories intended for greenery of Tbilisi's urban and suburban areas and their involvement in

the city's new general project, as Tbilisi's united urban and recreational-landscape system.

Tbilisi's greenery and recreational territories' development directions have been formed, which includes greenery and recreational spaces' classification of the basic groups and subgroups: green belt , green /ecological corridor , urban greenery. This marked urban landscape development must be carried out on the basis of area's settlement regulation plans, which are developed for zonal planning and recreational capacity settings, also protecting the modern sustainable development principles.

Sketch projects about Tbilisi's new park's and garden's renovation-expansion have been processed. In particular, the city park to be located on the complicated relief territory between Guramishvili street and the river Vere and the city garden in Avlabari, on adjacent territory of Tsurtsunia street.

Ana Lagidze

ლიტერატურული წყაროები

1. ამირეჯიბი ვ. „ურბანული ღირსშესანიშნაობები“ გამომცემლობა
2. გამწვანების საფუძვლები; ხმალაძე, ი. საქ. სსრ ბუნების დაცვის
ნებაყოფლობითი საზ-ბის თბილ. საქალაქო საბჭო, 1961.წ;
3. ვარდოსანიძე ვ. ქალაქგანვითარების სოციალური განზომილება
პოსტსაბჭოურ საქართველოში. თბილისი ცვლილებების ხანაში -
ურბანული სივრცისა და ქალაქდამგეგმარების სოციალურ-
კულტურული განზომილებანი. თბილისი 2010. წ;
4. თევზაძე ე. თბილისის გამწვანების პრობლემა- გეგმები და რეალობა
ბიულეტენი N74, საქართველოს სტრატეგიული კვლევების
ცენტრი, თბილისი, 2002. წ;
5. თევზაძე ე. თბილისის ძველი ბალები და თანამედროვე ურბანიზაცია
(ლექციათა კურსის კრებული), კაიზერსლაუტერნი-თბილისი, 2002. წ;
6. თევზაძე ე. ლანდშაფტური არქიტექტურა (სახელმძღვანელო)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2006;
7. კერესელიძე ა. დეკორაციული მებაღეობა. სასწავლო-პედაგოგიური
ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“. თბილისი, 1962. წ;
8. კიკაბიძე ვ. ქალაქის სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომები
(კრეატიული ქალაქი), კრებულში „თემი“. თბილისი 2007. წ;
9. კვინიკაძე ზ. დავითაია ზ. კვინიკაძე ლ. „ ეკოლოგიის მოკლე კურსი“
თბილისი. 2010. წ;
10. მახარაშვილი თ. - მწვანე არქიტექტურა, ჟურნალი „სტილი“ N28 ,
თბილისი 2009. წ;
11. მახარაშვილი თ. - ბუნება ჩვენს გვერდით, ჟურნალი „სტილი“, N26

თბილისი 2008. წ;

12. მახარაშვილი თ, მახარაშვილი გ. - ქ. თბილისის „პრესტიჟული უბნების განაშენიანების პრობლემები, კრებული „კავკასიის

მაცნე, თბილისი 2004 წ;

13. სალუქვაძე გ. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია. თბილისი, 2007.წ;

14. სალუქვაძე მ. „მსხვილი ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობის კომპლექსური კვლევის თანამედროვე ასპექტები ქალაქგეგმარებითი რეგულირების მიზნით. (თბილისის მაგალითზე) თბილისი 2012 წ;

15. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ 2007 წელი ;

16. „საქართველოს კანონი ზემოქმედების ნებართვის შესახებ „ (მიღებულია 1996 წ. 17. ოქტომბერს, შეიცვალა ახალი რედაქციით 2007 წ);

17. ქ. თბილისის ურბანულ განვითარების შეჯერებული კონცეფცია (ავტორთა კოლექტივი). თბილისი: 2005.წ;

18. შაიშველაშვილი გ. „ქალაქთმშენებლობითი აფიქცია -

განმაპირობელი ფაქტორები, კრიზისის დაძლევის ამოცანები.

(თბილისის მდგრადი განვითარების პრობლემების კონტექსტში)“.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

სამეცნიერო - ტექნიკური ჟურნალი N1 თბილისი 2011. წ;

19. ციცივიძე ა. გიგაური გ. გაგოშიძე გ. დენდროლოგია, ნაწილი I.

განათლება თბილისი, 2004. წ;

20. ხმალაძე ი. ლანდშაფტური ხელოვნება. თბილისი: ხელოვნება , 1985.წ;

21. ხმალაძე ი. გამწვანების საფუძვლები. საქართველოს გამომცემლობა

- თბილისი, 1961 ;
22. Курбатов Ю. И. Архитектурные формы и природный ландшафт. Ленинград: Издательство Ленинградского университета,1988;
23. Боговая И.О. фурсоваю ландшафтное искусство. М. ВО Агропромиздат,1988;
24. Залеская Л.С. Микулина Е. М. Ландшафтная архитектура. МЖ Стройиздат, 1979;
25. Лунц Л.Б. Городское зеленое строительство. М. Стройиздат,1974;
26. Горохов В.А. Лунц Л.В. Парки Мира М. Стройиздат,1985;
27. Горбачев В.Н. Архитектуро-художественные компоненты озеленения городов М. Высшая Школа,1983; строительство.Киев , 1984.
28. <http://www.safespace-tbilisi.com> -ასოციაცია "უსაფრთხო სივრცე" თბილისის სარეკრეაციო ზონების კვლევა 2012 წელი;- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2016.
29. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2643718> - მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური2015.წ;- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2016.
30. <http://greencity.tbilisi.ge>.2016წ;-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2016.
31. <http://tas.ge> - მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება- განახლებაზე გამოცხადებული კონკურსი2016.წ;- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2016.
32. <http://landarchs.com> - Landscape Architects Network projects2015.year;- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 01.04.2016.

33. <http://www.landscapingnetwork.com>- Landscape Architect of city 2015.year;- უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
34. <http://landscapearchitecturemagazine.org> - Landscape Architecture Magazine (LAM);- უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
35. <http://www.lalc.msstate.edu> – Research Landscape Architecture 2015.year;- უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
36. <http://www.w-architecture.com> - Architecture & Landscape Architecture;- უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
37. <http://www.greeninc.co.za>- Green Architecture in the street2015.year;- უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
38. <http://ec.europa.eu/environment/europeangreencapital/> -The European Green Capital Award/2016.year;- უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
39. <http://www.rstudio.pl> - landscape architecture design in city2016.year ; - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
40. <http://worldlandscapearchitect.com>- World Landscape Architecture2016.year; -უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
41. <http://www.pwpla.com> - Gardens landscapes design (little garden); - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
42. <http://joshuabarkleyla.com> - Landscape Architecture in urban area2015.year; - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 01.04.2016.
43. <http://www.environs.us>- Environs Landscape Architecture; - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
44. <http://www.watersite.us/content/> - water conservation and advanced design

- of sustainable / water saving landscape and irrigation solutions2016.year; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
45. <http://www.fourpeakstudio.com> - Landscape Architecture solutions to clients that are environmentally and socially responsible; - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
46. <http://www.landscapearchitecture.cz> - energy/ landscape 2016.year; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
47. <http://www.shadesofgreenla.com>- Shades of Green Landscape Architecture; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
48. <http://www.shapedscape.com/index.php> - Gardens landscape of city; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
49. <http://www.skoposdesign.com/index.html> - Garden design / Landscape architecture ,Architectural drafting ,Hard landscaping; - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
50. <http://blogs.gre.ac.uk/architecture/> - Programme in Architecture and Landscape; - უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
51. <http://landscapearchitectureeurope.com> - Landscape Architecture Europe (LAE) is a foundation that seeks to enhance the dialogue in landscape architecture on a European level by publishing a triennial yearbook; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
52. <http://asaliarchitects.com>- Landscape Architecture Planing; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.
53. <http://www.greenroofs.org> - green Roofs for Healthy Cities; -
უკანასკნელად იქნა გადამონმებული 20.04.2016.

54. <http://garden.csusb.edu/documents/WCGLandscapeDesignBasics.pdf> - Landscape Design book; - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2016.
55. <http://www.uwsp.edu/cnr> - planning designing home landscape; - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2016.
56. <http://msucares.com/pubs/publications/p2698.pdf> - Principles of Ecological Landscape Design; - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2016.
57. <http://www.localgov.co.uk/Smart-cities-offer-urban-planning-solutions> - Smart cities offer urban planning solutions; - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2016.
58. <http://www.aedas.com/en/mlp> - Urban design & Masterplanning; - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2016.
59. <http://55girl.blogspot.com/2015/09/8-eden-gardens-in-europe.html>- უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.04.2016.
60. http://www.som.com/expertise/services/urban_design_planning - Urban

